

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი საკრედიტო პოლიტიკა

გიორგი განერელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

მიკროკრედიტი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხს ყოველთვის უფრო მაღალ პროცენტში გასცემენ, ვიდრე კომერციული ბანკები. ამასთან, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მომხმარებელი პროცენტის სახით მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს. მაღალი საპროცენტო განაკვეთი კი გაპრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის განსხვავებულია წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის 2017 წელს ამოქმედებული ცვლილების თანახმად, სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 პროცენტს, ხოლო თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით გაცემულ სესხებზე სავალდებულო წესით უნდა დაწესდეს ე.წ ანუიტეტური გადახდის გრაფიკი და მოხდეს სესხების გაცემის დროს რისკების შეფასების სისტემის სრულყოფა და გამკაცრება.

საკვანძო სიტყვები: მიკროდაფინანსება; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; ; საკრედიტო სისტემა; ; მიკრობიზნესის დაფინანსება; სამომხმარებლო სესხი; საბანკო სისტემა; ბიზნესის დაკრედიტება; მიკროსაფინანსო სექტორი.

MICROFINANCE ORGANIZATIONS AND THEIR CREDIT POLICY

A doctorate student of faculty of Business Technologies of Georgian Technical University
George Gatsrelia

Micro credit is an amount of money given to a loan debtor or a group of loan debtors by a microfinance organization subject to the conditions of the agreement which provides the terms of a credit, its return terms, price and

its objective.

Microfinance organizations always charge a higher interest rate than commercial banks do. A customer of a microfinance organization pays the fixed interest rate and not the decreasing one. The high interest rate is one of the significant factors that cause problems.

The annual interest rate for the microfinance organizations in Georgia is different. According to the amendment (initiated in 2017) to the 625 article of the Georgian Civil Code the annual effective interest rate must not exceed 100% while the forfeit per each day or an amount of any form of a financial sanction must not exceed in total the annual 150% of the remaining principal balance of the credit.

In order to perfect the credit policy an annuity payment mandatory schedule must be allotted to the credits given by the microfinance organizations which function in Georgia; also, the system of risk evaluation in giving the credits must be perfected and become more precise.

Key words: Micro financing; micro finance organization; credit system; micro business financing; consumer credit; business crediting; banking system; specialized banking establishments; the accrual of funds; micro finance sector.

შესავალი

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.

ეკონომიკურ თეორიაში, მიკროდაფინანსება გულისხმობს სპეციფიკურ საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებს ფინანსურ ორგანიზაციებსა და მენარმეობის მცირე ფორმებს შორის ტერიტორიული სიახლოვის და პირად ურთიერთობების პირობებში, რომლებიც ითვალისწინებენ ფინანსურ რესურსების დაგროვებას და მათი გამარტივებული წესით მიწოდებას მენარმეობის განვითარებისათვის სარგებლიანობის, მოკლევადიანობის, დაბრუნებადობის, ნდობის და მიზნობრივი გამოყენების პრინციპებზე.

ძირითადი ტექსტი

მიკროდაფინანსება (ინგლისურიდან microfinance) არის ერთგვარი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ მომსახურებასთან, როგორც წესი, მცირე ბიზნესის სუბიექტებისათვის და გულისხმობს მცირე სანარმოებისათვის დაფინანსების წყაროებზე მარტივად ხელმისაწვდომობას.

მიკროკრედიტი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს. (საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, 2006 წლის 18 ივლისი, მუხლი 5.1)

მიკროსაფინანსოები სესხს ყოველთვის უფრო მაღალ პროცენტში გასცემენ, ვიდრე კომერციული ბანკები. ასევე მათ ერთმანეთისგან ის განასხვავებს, რომ მომხმარებელი პროცენტის სახით მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს. მაღალი საპროცენტო განაკვეთი კი გაპრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ფაქტია, რომ მიკროსაფინანსოები, ერთი მხრივ ბიზნესის განვითარებისთვის კარგია, მაგრამ ისინი ძირითადად სესხებს დაბალშემოსავლიან ადამიანებზე გასცემენ და ამიტომ მაღალია გაპრობლემების შემთხვევები. სესხის მიღების შანსი აქვთ მათაც, ვინც ბანკისგან სესხის გაცემაზე უარი მიიღო, ან უფრო მეტიც, „შვს სიაში“ არიან და ერთგვარად „ურჩ გადამხდელსაც“ მიეკუთვნებიან. ხშირ შემთხვევაში ისინი მათ საბანკო ისტორიებს და შემოსავლებს არ ამოწმებენ და „ზეპირი ფორმით“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გასცემენ სესხებს.

მიკროსაფინანსო კომპანიებსა და ბანკებს შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება სესხის მიღებაა, თუნდაც ჰქონდეს მსესხებელს ბანკში დაუფარავი სესხი ან /და ცუდი საკრედიტო ისტორია. ამავდროს, მიკროსაფინანსო კომპანიებისთვის უარყოფითი საკრედიტო ისტორია არ არის საბაბი მსესხებელზე უარისთვის. ამ სერვისების უმრავლესობაში სესხების გაცემა ხდება უმუშევარი მოქალაქეებსა და პენსიონერებზეც კი. უმეტესი მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან გამოტანილი სესხის დროს იფარება მხოლოდ დარიცხული პროცენტი და სანყისი თანხა ამ შემთხვევაში არ იფარება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ბაზარზე ახალი შეთავაზებაც გამოიტანა, რომლის თანახმად სანყისი თანხაც იფარება, თუმცა ასეთ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი გაცილებით უფრო მაღალია.

უმეტეს შემთხვევებში, სწრაფი სესხის მიღების პროცესს სჭირდება 10 წუთიდან 1 საათამდე დრო. პირველი ნაბიჯს შეადგენს ფორმის შევსება და იმ

კომპანიისათვის გაგზავნა, რომელსაც კრედიტორად შეარჩევს მსესხებელი. შემდეგ კომპანია გზავნის შეტყობინებას, რომლითაც იგი იღებს კრედიტის აღებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას ან უარყოფს მას. თუ კომპანია იღებს მოთხოვნას კრედიტთან დაკავშირებით, მსესხებელი საბანკო ანგარიშზე მომენტალურად მიიღებს სასურველი რაოდენობის თანხას.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის განსხვავებულია წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: CCloan.ge – 708%; Eloan.ge – 435%; NetCredit.ge – 708%; Vivus.ge – 435%; EmmasCredit.ge – 1174 %; MoneyMan.ge – 800%; CreditON.ge – 850%; Credium.ge – 558% - ვადის გადაცილების შემთხვევაში მსესხებელს ეგზავნება შეტყობინება, ხოლო დაერიცხებათ პირგასამტეხლო 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სესხის დაუბრუნებლობმა კი შეიძლება საკრედიტო ისტორიაზე ნეგატიურად იმოქმედოს. (sesxebi.ge)

ხშირ შემთხვევაში, მიკროსესხების გადაუხდელობის შემთხვევაში, მსესხებელს შეუძლია გადაავადოს მისი გადახდა. როგორც წესი, თითოეული გადავადებულ დღესა ან კვირაზე მას დაერიცხება დამატებითი პროცენტი, თუმცა ზოგ შემთხვევაში მსესხებელს უღირს ამ პროცენტის გადახდა, თუ მას მისცემენ სესხის დასაფარად დამატებით ვადას. ამის მიუხედავად, ნებისმიერ კომპანიას გააჩნია საკუთარი პირობები და სასურველია მათი წინასწარ კარგად გაცნობა.

ამასთან, ყველა საკრედიტო კომპანია თავად აწესებს ასაკობრივ ზღვარს. კომპანიათა უმრავლესობაში სესხი გაიცემა 20 წლის ასაკიდან მოყოლებული 60-70 წლის ასაკამდე. არსებობს კომპანიები, რომლებიც სესხებს გასცემენ 19 წლის ასაკიდან.

საპარლამენტო კვლევებისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრიდან ((ECPRD) მოწოდებული ინფორმაციით ლიტვაში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და უნგრეთში ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება სამომხმარებლო სესხების შესახებ კანონით (Law on Consumer Credit).

ლიტვაში 2015 წლის მონაცემებით 66 ორგანიზაცია გასცემდა სწრაფ ონლაინ სესხებს. აღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოკლევადიანი სამომხმარებლო დაკრედიტება (სწრაფი ონლაინ სესხები) რეგულირდება სამომხმარებლო კრედიტის შესახებ კანონის დამატებებით (Law on Consumer Credit with the amendments), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 თებერვლიდან. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთის დაწევას 200%-დან 75%-მდე. მსესხებლის მიერ ყოველდღიური სხვა ხარჯები, გარდა პროცენტისა, რომელიც შედის სამომხმარებლო კრედიტის საერთო ღირებულებაში, არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის საერთო თანხის 0.04%-ს. სამომხმარებლო კრედიტის საერთო ღირებულება, რომელიც მოიცავს პროცენტებს, საკომისიო მოსაკრებელს და სხვა მო-

საკრებლებს, რომელსაც იხდის მსესხებელი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით, არ უნდა აღემატებოდეს გაცემულ სამომხმარებლო კრედიტის თანხას, გარდა ვადაგადაცელების შემთხვევაში.

სლოვენიაში სამომხმარებლო სესხის შესახებ კანონით (Consumer Credit Act) კომპანიებმა რომლებმაც უნდა გასცენ სწრაფი ონლაინ სესხები, ვალდებული არიან ნებართვა აიღონ ეკონომიკური განვითარებისა და ტექნოლოგიების სამინისტროში (ნებართვის აღება არ ეხებათ ბანკებს). ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით. სლოვენიაში მოქმედებს 66 სწრაფი სესხების გამცემი კომპანია. პრაქტიკულად, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი კომპანია როგორც კი აიღებს ნებართვას, იწყებს საქმიანობას კანონდარღვევით (ეს პრობლემები ნათლად ჩანს საზედამხედველო პროცესში და მომხმარებელთა საჩივრებში).

მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიცავს სამომხმარებლო კრედიტის მთლიან ღირებულებას) რეგულირდება სამომხმარებლო კრედიტის შესახებ კანონით, რომლის მიხედვითაც მთლიანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ბოლო საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (რომელსაც იყენებს ბანკები და შემნახველი ბანკები) 200%-ს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო სესხზე საშუალო საპროცენტო განაკვეთის სიდიდით მსოფლიოში მეთერთმეტე, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მეორე, ხოლო კავკასიაში პირველ ადგილზეა; • მსესხებელთა დიდი უმრავლესობისთვის კერძო მევახშისგან სესხის აღება უკიდურესი გამოსავალია, რო- 6 საქართველოში არსებული პრობლემური სესხების მართვა მელსაც მაშინ მიმართავენ, როდესაც კომერციული ბანკებიდან სესხზე უარს იღებენ ან ცდილობენ დაფარონ ფინანსური ინსტიტუტებიდან უკვე აღებული პრობლემური სესხი;).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის 2017 წლის 15 იანვარს ამოქმედებული ცვლილების თანახმად შეიზღუდა სესხისთვის განსაზღვრული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთისა და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისთვის თითოეულ დღეზე დაკისრე-

ბული პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობები.

„კანონმდებლობის მიხედვით, სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 პროცენტს (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ კალკულატორით), ხოლო თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს. აღნიშნული ცვლილებები ეხება ნებისმიერ გამსესხებელს, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს.

მიგვაჩნია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე უნდა დაწესდეს საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე სავალდებულო წესით დაწესდეს ე.წ. ანუიტეტური გადახდის გრაფიკი, სადაც ყოველთვიურ შენატანში გათვალისწინებული იქნება როგორც სესხის ძირითადი თანხა, ასევე საპროცენტო განაკვეთი. რაც სასესხო პირობებს შედარებით გააუმჯობესებს.

მოხდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სესხების გაცემის დროს რისკების შეფასების სისტემის სრულყოფა და გამკაცრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ ; 2006. 18. 07.
2. ფული, ფულის მიმოქცევა დაკრედიტი. ცაავა გ; ბურდიაშვილი რ; მოსიაშვილი ვ. გამომც. „დანი“. 2017.
3. www.nbg.ge;
4. www.mikrofinance.ge (საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია);
5. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC);
6. www.abg.org.ge საქართველოს ბანკების ასოციაციის ვებგვერდი.